№ 80 მთავრობის მოამგე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, 10 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

დამწუხრებული ნინო, მარია, ანეტა, ჟორა და არჩილ ლობჟანიძეები, სიკო და ცაცა ტაბლიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უსაყვარლეს პირველის დედის, ხოლო დანარჩენნი ბებიის

მარიამ იაკოფის ასულის ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათზე. გამოსვენება ორშაბათს 12 აპრილს დილ. 9 ს. საკუთარ სახლიდან ნაძალადევი. რუსთაველის მოედანი, № 178 ნაძალადევის ეკლესიაში იქიდგან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 419

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ხვალდგომო რეპერტუარი

12 აპრილს დილით „ჰოფმანის ზღაპრები“, საღამოს „ტრავიატა“. 13 აპრილს დილით „სნეგუროჩკა“. საღამოს ს. ვაკარეცის ბენეფისი. ბალეტი. 14 აპრილს „ქეთო და კოტე“. საღამოს მ. ნანობაშვილის გასტროლი „მანონი“. 17 აპრილს ოპერა მუშებისთვის „ტოსკა“.

ტფილისის მიხეილის სახელოგის სამკურნალო

ამით აცხადებს, რომ ამ ჟამად თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი თერაპევტიულ განყოფილებაში. ამ ადგილის დაკავების მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა ამა წლის 20 აპრილამდე უფროს ექიმის სახელზე თვისი (curiculum vitae) დაწვრილებით დაწერით. 420 3—1

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სავალდებულო განცხადებისათვის დაწესებული ნიხრის გადიდებისა.

1. გაუქმებულ იქნეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სავალდებულო განცხადებისათვის დაწესებული ნიხრი.

2. მიენდოს მთავრობას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სავალდებულო განცხადებისათვის დააწესოს ახალი ნიხრი და, თუ საჭირო იქნება, მომავალში შესცვალოს პირობების მიხედვით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

ახალციხის მაზრის ერობისათვის 2 მილიონ მან. სესხის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი (2.000.000) მანეთი ახალციხის მაზრის ერობისათვის უპროცენტო ერთი წლის ვადიანი სესხის მისაცემად საჭირო სურსათ-სანოვაგისა და სათესლე მასლის შესაძენად.

2. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ფოსტის გადაზიდვის ხარჯის დასაფარავად 4.035.304 მ. 92 კ. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ოთხი მილიონი ოცდახუთმეტი ათას სამას ოთხი მ. 92 კ. (4.035.304 მ. 92 კ.) ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტის გადაზიდვის ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

საქონლის ჭირისათვის შრატის დამმზადებელი სადგურისათვის სოფ. ტაბახმელაში მელიქიშვილების მამულის შესაძენად 1.060.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონი სამოცი ათასი (1.060.000) მ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სავეტერინარო-სასანიტარო განყოფილებასთან არსებული საქონლის ჭირისათვის შრატის დამმზადებელი სადგურის საჭიროებისათვის სოფ. ტაბახმელაში ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილის მემკვიდრეებისაგან მამულის შესაძენად და ამისათვის საჭირო ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

გზათა უწყების მოსამსახურეთათვის დღიური სარგოს ნორმების შეცვლისა

1. გზათა უწყების დაწესებულებათა მოსამსახურეებს 1919 წ. ნოემბრის 1 სამსახურის გამო მოგზაურობის დროს დღიურ სარგოთ მიეცეთ:

ა) გზათა უწყების ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეებს, მათ გარდა ვინც რკინის გზის სამსახურში იმყოფება, სამსახურის გამო მოგზაურობის დროს დღიურ სარგოდ მიეცეთ რესპუბლიკის საზღვრებში ერთი მეოცდაათედი (1,30), ხოლო რესპუბლიკის გარეშე ამიერ-კავკასიაში ერთი მეთხუთმეტედი (1,15) თვიური ჯამაგირისა ორთავე შემთხვევაში არა ნაკლებ 100 მან.

ბ) რკინის გზის მოსამსახურეებს დღიურ სარგოდ მიეცეს უბნის ფარგლებში ერთი მეორმოცდაათედი (1,50). უბნის გარეშე—ერთი მეორმოცედი (1,40), ხოლო რესპუბლიკის გარეშე ამიერ-კავკასიაში—ერთი მეოცდახუთედი (1,25) თვიური ჯამაგირისა.

შენიშვნა: თუ რკინის გზის მოსამსახურე გაგზავნილ იქნება რკინის გზის ფარგლების გარეშე, დღიური სარგო უნდა მიეცეს ამ დეკრეტის მუხ. I, ლიტ. ა-ში აღნიშნულ ნორმის თანახმად.

2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამ დეკრეტის I მუხლის ლიტ. ა და ბ-ში აღნიშნულ საჭიროებისათვის 1919 წლის ნოემბრის 1-ან 1920 წ. იანვრის 1-ე ერთი მილიონი ხუთას სამოცდაერთი ათას ას სამოცი (1.561,160) მანეთი შემდეგი განაწილებით: გზათა დეპარტამენტის ცენტრისათვის ოცდა ათი ათასი (30,000) მანეთი, რკინის გზისათვის ერთი მილიონი სამას სამოცდა თერთმეტი ათას ცხრაას სამოცი (1,371,960) მანეთი, ნავთსადგურისათვის ორმოცდა ათი ათასი (50,000) მან. და გზატკეცილებისათვის ას ცხრა ათას ორასი (109200) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 50,000,000 მან. გადადებისა

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ორმოცდა ათი მილიონი (50,000,000) მანეთი სამხედრო უწყების მოულოდნელი ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 1,140,000 მან. გადადებისა სამეურნეო იარაღისა და მასალის შესაძენად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონი ას ორმოცი ათასი (1,140,000) მანეთი მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის საჭირო სამეურნეო იარაღისა და მასალის შესაძენად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

ბათომის ქართ. გიმნაზიისათვის ერთდროულ დახმარებად 260,000 მანეთის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში ორას სამოცი ათასი (260,000) მანეთი ბათომის ქართულ გიმნაზიისათვის ერთდროულ დახმარებად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

კანონი

სახაზინო რკინის გზის ჭიათურის შტოზე განსაკუთრებული ტარიფის მოსპობისა, გარდა შავიქვისათვის.

1. მოსპობილ იქნეს სახაზინო რკინის გზის ჭიათურის შტოსათვის არსებული ყველა განსაკუთრებული ტარიფი, გარდა შავიქვის გასაზიდი ტარიფისა.

2. გავრცელებულ იქნეს ჭიათურის შტოზე რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზისათვის არსებული ნორმალი ტარიფი, მხოლოდ გამონაკლისად დარჩეს შავიქვის გადაზიდვის ტარიფი.

3. კანონი ესე ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხ. **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

არსენალის თოფის და ტყვიის-მფრქვეველის სახელოსნოს გაფართოებისათვის და ვაზნების აღსაჭურველი დროებითი სახელოსნოს მოწყობისათვის 7.689.400 მ. გადადებისა.

1. გაფართოებულ იქნეს არსენალის თოფისა და ტყვიის-მფრქვეველის სახელოსნო და მოწყობილ იქნეს ვაზნების აღსაჭურველი დროებითი სახელოსნო.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში შვიდი მილიონი ექვსას ოთხმოცდა ცხრა ათას ოთხასი (7.689.400) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავჯდომარის
ამხ. **ექვთიმე თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისათვის 30.000.000 მან სესხის მიცემისა.

1. მიეცეს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას სესხად ათი წლის ვადით ოცდა ათი მილიონი (30.000.000) მანეთი მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

2. სესხი უზრუნველყოფილია ყოველ საქალაქო გადასახადით, აგრეთვე ქალაქის უძრავ-მოძრავ ქონებით.

3. სესხის გადახდა იწყება 1921 წ. იანვრიდან, ნახევარ-წლობით: ივლისის 15 და დეკემბრის 15 თითო ვადაზე ერთი მილიონი ხუთას ათასი (1.500.000) მან. და სათანადო სარგებლის შეტანით.

4. სესხის გაცემის დღიდან ქალაქი ყოველ ექვს (6) თვეში იხდის სარგებელს სამ ნახევარ ($3^1/_2$) პროცენტს სესხის დარჩენილ ნაწილზე.

5. თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს სესხისა და სარგებლის გადახდას, შეტანილ უნდა იქნეს ქალაქის ყოველწლიურ სავალდებულო ხარჯთ-აღრიცხვაში.

6. უკეთუ მე-3 მუხლში აღნიშნული ვადიანი გადასახადი თავის დროზე არ იქნა შეტანილი ხაზინაში, ქალაქმა უნდა გადაიხადოს ჯარიმად გადასახდელი თანხის შვიდი (7) პროცენტი წლიურად.

7. ეს სესხი ჩაირიცხოს ფინანსთა სამინისტროს ამა 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში; ამავე სამინისტროს დაევალოს თვალყური ადევნოს სესხის თავის დროზე გადახდას.

8. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 15.000.000 მან. გადადებისა სათესლე მასალის შესაძენად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში თხუთმეტი მილიონი (15.000.000) მანეთი სათესლე მასალის შესაძენად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის მოკლე ვადიან კურსების დაარსებისა და საამისოდ 240,000 მანეთის გაცემისა.

1. რესპუბლიკის დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებლად მოსამზადებლად დაარსდეს სამასწავლებლო მოკლევადიანი კურსები.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში ორას ორმოცი ათასი (240,000) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის, 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სახალხო სკოლის მასწავლებელთა ხუთწლეულებით დასაკმაყოფილებლად 4.193,333 მანეთის გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში, თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. ივნისის 6-ს კანონისა (კან. და მთავარ. განკ. კრ. 1919 წ. № 9 კან. 72) ოთხი მილიონი ასოთხმოცდა ცამეტი ათას სამას ოცდა ცამეტი (4.193,333) მანეთი, სახალხო სკოლის მასწავლებელთა ხუთწლეულობით დასაკმაყოფილებლად, შემდეგი განაწილებით: ერთი მილიონი ოთხას ოთხმოცი ათასი (1.480,000) მან. მასწავლებელთა ძირითადი ჯამაგირის დასამატებლად, ერთი მილიონი ორას ოცდაცამეტი ათას სამას ოცდაცამეტი (1.233,333) მანეთი მასწავლებელთა ხუთწლეულებით დასაკმაყოფილებლად 1919 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე და ერთი მილიონი ოთხას ოთხმოცი ათასი (1.480,000) მანეთი, მასწავლებელთა ხუთწლეულებითვე დასაკმაყოფილებლად 1919—20 სასწავლო წლის განმავლობაში.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სახელმწიფო მამულებში სახნავ-სათესის გასაფართოებლად 8.158,025 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში რვა მილიონი ას ორმოცდა თვრამეტი ათას ოცდა ხუთი (8.158,025) მანეთი სახელმწიფო მამულებში სახნავ-სათესის გასაფართოებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

აჯამეთის ხარწყავი არხის შესაკეთებლად 551.333 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ხუთას ორმოცდათერთმეტი ათას სამას ოცდაცამეტი (551.333) მანეთი აჯამეთის სარწყავი არხის შესაკეთებლად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აენაზღაუროს ხაზინას სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ხსენებული სარწყავი არხის სარგებლობისათვის მათი სარწყავი მიწების რაოდენობის მიხედვით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სკოლის გარეშე განათლებისათვის 2,000,000 მან. გადადებისა.

1 გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი (2,000,000) მანეთი რესპუბლიკაში სკოლის გარეშე განათლებისათვის.

2. დეკრეტი ესე ძალში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

კანონი.

მომრიგებელი სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა.

1919 წ. იანვრის 30-ის დროებითი კანონის (კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის № 4 კანონი-24 შესაცვლელად და დასამატებლად შემოღებულ იქნეს:

1. სასჯელთა წესდების 169, 173, 177 და 181, მუხლებში, სასჯელთა დებულების 1655, 1666, 1681, და 354 მუხლებში და 1919 წლ. იანვრის 31-ს კანონის 39 მუხლში აღნიშნული ორი ათასი მანეთი შეიცვალოს ოცდა ხუთი ათას მანეთად, ხოლო სასჯელთა წესდების 171 მ. 3 პ-ში და სასჯელთა დებულების 1663 მ. 3 პ-ში აღნიშნული 5 მანეთი შეიცვალოს ორმოცდა ათ მანეთად.

II. სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდ. 33 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული ოთხი ათასი მანეთი შეიცვალოს ორმოცდაათი ათას მანეთად.

III. სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდების მუხლი 1462 შეიცვალოს შემდეგნაირად:

1462. მე-29-ე მუხლის მე-2-4 პუნქტში აღნიშნულ სამოქალაქო საჩივართა და თხოვნათა გარდა მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება 29 მუხ. პირველ პუნქტში აღნიშნული საჩჩელი, რომლის ღირებულება არ აღემატება ორმოცდა ათი ათას მანეთს; აგრეთვე საჩჩელი ორმოცდაათი ათასი მანეთის არა უმეტესად ღირებული უძრავი ქონების უფლებათა გამო და 29 მუხლ. მე-5 პ. აღნიშნული არზა ზემოგანსაზღვრულ ქვემდებარეობის ფარგალში.

IV. 1466|2 მუხლი გაუქმებულია.

V. ყოველი საქმე, რომელიც ამ კანონის ძალით მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება და რომლის წარმოება უკვე დაწყებულა საზოგადო სასამართლოებში, მაგრამ მის განსახილველად არც ერთი სხდომა არ შემდგარა, დაუყოვნებლივ გადაეცეს მომრიგებელ მოსამართლეებს. უკეთუ სხდომა ასეთი საქმეებისათვის უკვე შემდგარა საზოგადო სასამართლოში, საქმის განხილვა უნდა დამთავრებულ იქნეს იმ ქვემდებარეობის წესით, რომელიც ამ კანონის გამოცემამდე არსებობდა, ხოლო სასჯელი განისაზღვროს ამ კანონის მიხედვით.

VI. კანონი ესე ძალაში შედის 1920 წლის მარტის 31-დან.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომრის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

ნებართვა.

თანახმად საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელის-კონსტანტინოპოლში-შუამდგომლობისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა შესაძლოთ სცნო ნება დაერთოს დენიკინის მიერ გადასახლებულ ყუბანის რადის წევრებს, რიცხვით 8 კაცს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა.

სამინისტროს ქონების გაყიდვა.

ახალ ათონის „სვიმონ კანანელის“ მონასტრის წინამძღვარმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, ნება დაერთოს აღნიშნულ მონასტერს გაჰყიდოს მისდამი კუთვნილი ქ. ცხუმში, მიხეილის და ოლგის ქუჩაზე მდებარე მამული ზომით 1764 ოთხკუთხი საჟენი, მაზედ აგებული შენობებით.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, თანახმად, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს დასკვნისა, შესაძლოთ სცნო დაკმაყოფილებულ იქნას ეს შუამდგომლობა.

ნემეცი-კოლონისტები

ნემეცების ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარემ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს. რომ ამ ჟამად ფოთის ყაზარმებში იმყოფებიან ნემეც კოლონისტები, რიცხვით ოცამდე კაცი, რომელნიც მოხალისეთა მიერ სტავროპოლის გუბერნიიდან ძალით იქმნენ გაყვანილნი ჯარში. ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაში მდებარე ნემცების კოლონიებში ამ ჟამად მუშა ხელის ნაკლებობაა და უმეტეს მათგანს ამ კოლონიებში ყავს ნათესავები, ნაციონალური საბჭო შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, ნება დაერთოს მას დაანაწილოს აღნიშნული პირები საქართველოს კოლონიებთა შორის სამუშაოდ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა შესაძლოთ სცნო დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა.

ნებართვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო-ბათუმის კონსულისაგან, რომ იქ ჩამოსულან ნოვოროსსიიდან სახელმწიფო ბანკის პიატიგორსკის განყოფილების მოხელენი კონონენკო, გაცმანი და ანანიევი და ითხოვენ საქართველოს ტერიტორიით კავკავში ტრანზიტით გასვლის ნებართვას.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა შესაძლოთ სცნო მხოლოდ აზერბეიჯანისკენ ტრანზიტით გავლა.

შეშის გამოტანა.

ცხინვალის თემის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების წინაშე, რათა თემს მიეცეს უფლება გამოიტანოს შეშა მდ. ტეხურით საზალეთის ტყიდან.

საერობო განყოფილება შეეკითხა ამის შესახებ გორის სამაზრო ერობას.

გადასახლება

ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურის მცხოვრებნი, რომელნიც გადმოსახლებულან ამავე მაზრის ხაბუმის თემში, შუამდგომლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების წინაშე, რათა ისინი ისევ უკან იქმნან გადასახლებულნი. საერობო განყოფილება კრეფს ამის შესახებ საჭირო ცნობებს.

ერობათა კავშირის შუამდგომლობა

ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ერობებს თავისი ბიუჯეტის გასამტკიცებლად მიეცეს: 1) სავსებით მიწის გადასახადი.

2) სამაზრო ერობათა სასარგებლოთ დაწესდეს გადასახადი ყველა იმ საწარმოო დაწესებულებათ, რომლებიც დაკავშირებული არიან მაზრის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციასთან; რაოდენობა ამ გადასახადისა არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემოსავლის ათ პროცენტს.

3) გაყიდულ მიწათა შემოსულ თანხიდან ერობათა სასარგებლოთ გადაიდოს ორმოცი პროცენტი; ამ წყაროდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ მაზრის ეკონომიურ აღორძინებას.

4) ვინაიდან ზემოაღნიშნული გადასახადების აკრეფა შეგვიანდება და ერობებს-კი ეხლავე ესაჭიროება თანხები თავის მოქმედების გასაცხოველებლათ, მიეცეს მათ სესხის სახით აღნიშნული მიწის გადასახადების გარანტიის ქვეშ ასი მილიონი მანეთი.

5) დაუყოვნებლივ გატარებულ იქნას სათანადო წესით მიწათ-მოქმედების სამინისტროს შუამდგომლობა ერობებისათვის სახელმწიფო მამულებიდან საჯარო შემოსავლის 20 პროცენტის გადადების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილება ამზადებს სათანადო მოხსენებას ამ საკითხის შესახებ მთავრობაში წარსადგენათ.

დამფუძნებელი კრება

8, აპრილი დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ექვთიმე თაყაიშვილი.**

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო გვარდიისათვის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 32.000,000 მან. გადადების შესახებ.

კ. ნინიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მაზრებში გადაყვანილ მიწის მზომელთათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

ვ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის უწყებათა, საკანცელარიო და სამეურნეო—ხარჯების დასაფარავად 14.457,485 მან. გადადების შესახებ.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამინისტრო საზოგადოების „შევარდენი“-სათვის 150,000 მან. მიცემისა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი-ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობისათვის 5 მილიონ მანეთის სესხად მიცემისა.

მ. რუხიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—კანონთა გადამსინჯავი კომისიის დაარსებისა.

ნ. იმნაიშვილის და **ერ. კალაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების წევრთათვის სახაზინო რკინის გზაზე უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—საერობო სამკურნალო დაწესებულებათა სამეურნეო ხარჯებისათვის სათანადო თანხის გადადებისა.

მ. რუხიას მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ. შემდეგ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი ყველა წინა და ამ სხდომაზე განხილულ დეკრეტებისა და კანონ-პროექტებისა.

შემდეგ გორში მომხდარ მიწის ძვრისგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე **რ. არსენიძე.**

რ. არსენიძის მოხსენება. მეორე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გორის ტრაგედია დატრიალდა. თქვენ იცით, რომ გორის უბედურების შემდეგ მაშინათვე შესდგა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტს აზრათ აქვს ამ დღეებში ანგარიშით წარსდგეს საზოგადოების წინაშე. მე დღეს მოგახსენებთ მხოლოდ მთავარ ნაბიჯებს, რომელიც ამ კომიტეტის მიერ იყო გადადგმული.

მე მინდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ თავდაპირველი დახმარება დაზარალებულთათვის უკვე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

პირველსავე დღეებში ჩვენ გავხსენით რამოდენიმე საკვები პუნქტი, აღმოუჩინეთ საექიმო დახმარება და სხვ. სისტემატიურათ იგზავნებოდა პური და შაქარი და სხვ. სულ დარიგებულია ორი თვის განმავლობაში 8500 ფ. მეტი პური, 418 ფუთი შაქარი, 1260 ფუთი თევზი, 2000 კონსერვი, საცვლები, ტანისამოსი და სხვ. შიგ ქალაქში იყო გახსნილი ერთი დიდი სასადილო, 5 საკვები პუნქტი, საკვები პუნქტები იყო გახსნილი სოფლებშიაც. უმთავრესი დახმარება დასჭირდა ქალაქს სურსათის მხრივ, სოფელმა კი უფრო ადრე მოახერხა თავისით საზრდოს შოვნა. სამაგიეროთ საექიმო დახმარება სოფელს მეტი დასჭირდა, ვინემ ქალაქს. ქალაქებში იქიდან გაგზავნილ იქნა 289 ავათმყოფი, ადგილობრივათ დახმარება აღმოეჩინა 3000-ზე მეტ კაცს. ამას გარდა ადგილობრივათ გახსნილ იქნა სამი საავადმყოფო მთელი თავის მოწყობილობით; ახალქალაქში და ქარელში მოეწყო 20—20 საწოლიანი საავადმყოფო, სურამში კი 100 საწოლიანი საავადმყოფო, ამას გარდა 20—20 საწოლიანი საავადმყოფო იხსნება მეჯვრისხევში და ქალაქ ხაშურში. ეს იყო ის პირველი დახმარება, რომელსაც ამ მხრივ ჩვენ უჩენდით ხალხს. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მოგახსენოთ, ის ჯგუფები და წრეები, რომელნიც ჩვენ ამ საქმეში ენერგიულ დახმარებას გვიჩენდნენ. პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს სტუდენტთა სანიტარული რაზმი (66 კაცისაგან შემდგარი), რომელიც არავითარ დაბრკოლების წინაშე არ დრკებოდა და თავდადებულათ მუშაობდა, ყინვაშიაც კი არ დაუსვენია. მათ მეტად დიდი და დაუფასებელი ამაგი დასდეს დაზარალებულთა საქმეებს. აღსანიშნავია აგრეთვე ჯარში გამოვ-

ლილ მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც ჩამოვიდა მასწავლებელ გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით და რომელიც (ჯგუფი) სრული წესრიგით თავდადებულათ მუშაობდა. ახლა ზოგიერთ ციფრებს მოგაწოდებთ ლტოლვილთა ევაკუაციის შესახებ. ამ საქმეში თემებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. 449 ურემი გამოვიდა სამუშაოთ. მართალია ჩვენ მათ ცოტა სახარჯოს ვაძლევდით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მათ გზის ხარჯათ არ ყოფნიდათ. გარდა ამისა ქალაქებში დავაგზავნეთ 293 ვაგონით ლტოლვილები. უმთავრესი ნაწილი ლტოლვილებისა გაგზავნილ იქნა ქალ. ტფილისში, ბორჯომში, სურამში, შემდეგ ქუთაისში და ასე ბევრი ლტოლვილები მოეწყო. სურამში დაზარალებულებს დახმარება ეძლეოდათ მთავრობის საწყობებიდან, თევზეულობა ნემცების კოლონიებისაგან და კონსერვები კოოპერატივისაგან.

იყო ავრეთვე სხვა სახის დახმარება. პირველ დღეებშივე გორში ტფილისიდან გაიგზავნა 3.000 მეტი კარვები და იურტები დროებით თავშესაფარის მოსაწყობათ. ჩვენ მივიღეთ ბორჯომიდან 40 ვაგონი ხის მასალა. ამ მასალისაგან გაშენებულია ბარაკები, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. სოფლელებმა უმთავრესად ისურვეს ცალკე ბარაკების გაშენება, ჩვენ მათ სათანადო დახმარება აღმოუჩინეთ. შემდეგი ჩვენი მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხი გადაგვერჩინა მომავალში განადგურებისაგან. საჭირო იყო ზოგიერთ შენობების სრულიად დანგრევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ზოგიერთი კედელის ჩამონგრევა და ახალი უბედურება. ჩვენ იქ გავგზავნეთ ტეხნიკური კომისია, რომელსაც უმთავრესად ხელმძღვანელობდა ქალაქთა კავშირი და სახლები შემოწმებულ იქნა. სულ ქალაქ გორში დანგრეულ იქნა 160 კედელი. მეორე მიზანი იყო დანგრეული კედლებიდან ნივთების ¦ვამოთხრა. ესეც ჩანებულათ იქნა შესრულებული და დღემდე ნანგრევებიდან გამოტანილ იქნა 11 მილიონ მანეთად ღირებული საქონელი.

ამას გარდა აწერილ იქნა ყველა ოთახები. ოთახები შეიძლება დაიყოს 4 კატეგორიათ: ოთახი, რომელიც გადარჩა, მეორე, რომელსაც მცირე შეკეთება სჭირია, მესამე, რომელსაც სერიოზული შეკეთება უნდა და მეოთხე, რომელიც სრულიად დანგრეულია. პირველი კატეგორიის ოთახები სულ არ აღმოჩნდა, მცირე შეკეთებით ივარგებს 246 ოთახი, დიდ შეკეთებას საჭიროებს 3,360 ოთახი; სრულიად უნდა იქნეს დანგრეული და ხელ-ახლა გაშენებული 4,591 ოთახი. როგორც ხედავთ თითქმის ორი მესამედი ოთახებისა სრულიად უნდა დაინგრეს. საერთოდ დაახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ გორი იმ სახით აღსდგეს, როგორათაც ის იყო მიწის ძვრამდე. საჭიროა 800 მილიონზე მეტი და თუ ვიანგარიშებთ იმ ზარალს, რომელიც ქალაქს წარმოებაში და სხვა დარგებში მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ზარალი მილიარდ ნახევარს აღწევს.

რაც შეეხება სოფლებს, 54 სოფელს მივეცით ტეხნიკური დახმარება, იქ გაშენდა ბარაკები და ერთგვარი ტეხნიკური საქმეები გაუკეთეთ. ამ სოფლებში სრულიად დანგრეულია 14%, უნდა დანგრეულ იქნას 52%, ცოტა შეკეთებით გამოდგება 33%, სულ დაზარალებულია 11,949 ოთახი, რომ აღდგენილ იქნას ეს სოფლები იმ სახით, როგორათაც ის იყო მიწის ძვრამდე, საჭიროა სულ მცირე 558 მილიონ მანეთამდე. ჩვენ ცნობები გვაქვს 72 სოფლის შესახებ. ამ სოფლებში არის 8000 კომლი. ამათგან დაზარალებულია 5638 კომლი. სულ სოფლებში მოკლულია 111 კაცი, ქ. გორში კი 9 კაცი. სულ 118 კაცი.

ამას გარდა გორში გაგზავნილი იყო გეოლოგიური კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია თუ რა ხასიათის იყო მიწის ძვრა, სად დაიწყო და სხვა. კომისიას ჯერ-ჯერობით თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია, მაგრამ წინასწარი მუშაობა და გამოკვლევა უკვე გვაქვს, შედგენილია ამ მიწის ძვრის ქარტა (მომხსენებელი აიღებს ქარტას ხელში და უჩვენებს კრებას). გვაქვს სტატისტიკური გამოკვლევებიც.

მომავალი მუშაობისათვის უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ვაპირობთ გეგმის, პლანების შედგენას, თუ როგორი სახლები უნდა იქნას გაშენებული, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. განზრახულია ზოგიერთი ნაწილების სულ მოშლა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაპირობთ ფართო ტეხნიკური დახმარების აღმოჩენას ტეხნიკოსების და ინჟენერების გაგზავნით. ხალხის სულიერი განწყობილება ამ ჟამად კარგია. სწავლა სწარმოებს. სასწავლებლები გადატანილია ზოგი ტფილისში და ზოგი ბორჯომში. ამას გარდა ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული გეგმა-პლანი სახლის მიწებისა და ამ დღეებში გამოიცემა სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, თუ რა ტიპის სახლი იქნას აშენებული. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ თანხას და მასალას, რომელიც მის განკარგულებაში იყო და ამბობს, რომ გარდა დამფუძნებელი კრების მიერ გადადებულ ოცი მილიონისა, ჩვენს განკარგულებაში იყო სხვა და სხვა საქონელი და მასალა, რომელიც მოვიხმარეთ იქ და რომლის ღირებულება აღემატება ოც მილიონ მან. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ დახმარების აღმოსაჩენად კომიტეტს განსაკუთრებული აპარატი არ ჰქონია. მას ყავდა თავისი წარმომადგენელი, ზანდუკელი ქალ. გორში. ისე კი კომიტეტი სარგებლობდა ქალაქთა კავშირის, ერობების და წითელი ჯვრის დახმარებით. შემოწირულების შესახებ ალბათ გომართელი მოგახსენებთ.

იგ. გომართელი აღნიშნავს, რომ პროვინციებიდან ყოველდღე მოდის შემოწირულებები, დარიგებულია კვიტანციები და ფულის შეგროვება წესიერად სწარმოებს. დღემდე სულ შემოწირულების სახით შემოსულია 6 მილიონ ნახევარი მანეთიო.

ეს განცხადება ცნობად მიიღო დამფუძნებელმა კრებამ.

ხალამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ყარაბაღის გარშემო.

საღამოს სხდომა საგანგებოთ მოწვეული იყო ყარაბახის ამბების განსახილველად. დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ადერბეიჯანის პარლამენტის მომართვა როგორც მსოფლიო დემოკრატიისადმი, ისე ამიერ-კავკასიისპარლამენტების და დემოკრატიისადმი. ამ მომართვის შესახებ პირველად ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა თვით მომართვის გარეგანი ფორმის მიუღებლობა—ეს ერთი მეზობლის მეორე მეზობლისთვის საჩივარიაო, ასეთივე მიუღებელი ფორმა დაინახა ორატორმა იმ ნოტაში, რომელიც სომხეთის მთავრობამ მოკავშირეთა მისიებს გადასცა, შემდეგ ის ვრცლად შეეხო ყარაბახის ამბების მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის არსებობისათვის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში. ორატორმა გააკრიტიკა კაორივე სახელმწიფოს მიერ სადაო საკითხისგ ადასაჭრელად ხმარებული მეთოდი ტ სთქვა: ტ ჩვენთვის იარაღით ხელში სადაო საკითხის გადაჭრა მიუღებელია. ასეთი საკითხები უნდა გადაიჭრას ურთიერთ შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით—ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ყარაბახის ამბების ლიკვიდაცია რაც შეიძლება ჩქარა მოხდესო. შემდეგ ლაპარაკობენ, ლ. შენგელაია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, ევგ. გეგეჭკორი და თ. ღლონტი, ყველანი აღნიშნავენ ყარაბახის ამბების დაუყონებლივ ლიკვიდაციისათვის ზომების მიღების საჭიროებას. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ. დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი.

რეზოლიუცია.

მოისმინა რა ადერბეიჯანის პარლამენტის რეზოლიუცია—მიმართვა კულტურულ ხალხთა პარლამენტებისადმი ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიაში მომხდარი ამბების გამო და იქონია რა მსჯელობა ამ საგანზე დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ

1) ხმლით გადაჭრა ნაციონალურ-ტერიტორიალური საკითხებისა საზოგადოთ დასაგმობი და გასაკიცხია. კერძოდ ამ შემთხვევაში თავის შედეგებით ის დამღუპველია უპირველეს ყოვლისა თვით ადერბეიჯანისა და სომხეთის ხალხისათვის.

2) ამავე დროს ორ მოძმე ერთა შორის მტრობა და სისხლის ღვრა ხელსაყრელია მხოლოდ იმათთვის, ვინც ცდილობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების დამხობას და დემოკრატიის ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების მოსპობას. დამფუძნებელი კრება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ დარღვეულია 1919 წ. 23 ნოემბრის დადებული შეთანხმება ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის.

ამის გამო დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მოძმე რესპუბლიკებს ადერბეიჯანს და სომხებს ენერგიული ზომები მიიღონ უბედურობის შესაჩერებლად და სადაო საკითხების მორიგებით დასათავებლად. ამასთანავე ავალებს საქართველოს მთავრობას, რომელსაც დიდი ხანია გადადგმული აქვს საჭირო ნაბიჯები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სრული შეთანხმებისა და სოლიდარობის დასამყარებლად, დაუყონებლივ მიიღოს შესაფერი ზომები.

დამფუძნებელი კრება ავალებს პრეზიდიუმს ეს რეზოლიუცია აცნობოს ადერბეიჯანის და ერევნის პარლამენტებს.

ევროპა

შორაპნის მაზრის სათემო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა მარტის 14.

ხრეთის თემი.

ხრეთის თემიდგან მოხსენებას აკეთებს შეყრილაძე, რომელიც ამბობს თემის, გამგეობა ამორჩეულ იქმნა 14 დეკემბერს, მხოლოდ მუშაობა დაიწყო 21 დეკემბერს, მიზეზი იყო შეყრილაძის მასწავლებლობა, რომელიც სამსახურმა მანამდე ვერ გაანთავისუფლა. კომისარიატის მიღების დროს მან, მხოლოდ კომისარიდან ბეჭედი ჩაიბარა, რადგან ის კომისარი ისევ გამგეობამ თემის მილიციის უფროსად დასტოვა. სხვა საბუთების მიღება კი გადადებულ იქმნა დრომდე. ბინის უქონლობის გამო მოხდა გამგეობის კანცელარიის გადატანა ერთი ადგილიდგან მეორეზე, რასაც ხალხში პირველად უსიამოვნობა მოჰყვა, მაგრამ, ბოლოს, ეს უსიამოვნობა გაქარწყლებულ იქმნა, გამგეობის პროპაგანდის საშუალებით. გამგეობას მოსდიოდა ბევრი სამოსამართლო საქმის საჩივრები, ამაზე ის მიუთითებდა სასამართლოზე, რაც ხალხში უსიამოვნებას იწვევდა; ბოლოს გამგეობამ დააგროვა ხალხის საჩივრები ერთად და ერთი დღისთვის ყველა მომჩივნები გამოიწვია, რომელთაც ურჩია შერიგება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში მოქცევა, რამაც, ამ შემთხვევაში, მათზე იმოქმედა. მაგრამ ბოლოს საჩივრები ასეთი კიდევ გამრავლდა და ეხლა გამგეობის კანცელარია სავსეა საჩივრის ქაღალდებით, რომელიც, გამგეობის მიერ, ჯერ-ჯერობით უყურადღებოთ არიან დატოვებული. სამოქალაქო საქმეებზე ვერავითარ განკარგულებას გამგეობა, მაგრამ ადმინისტრატიულ საქმეებს ანდობს მოსაწესრიგებლად მილიციის უფროსს. თემში არის „იარმუკა“, რომელზედაც შემოყვანილი საქონელი უნდა იქნეს დაბეგრილი საბჭოს დადგენილებით. არის საფერშლო პუნქტებიც სოფელ ქვაციხეში, რომელსაც საკუთარი ბინა არ აქვს და საზოგადოება ცდილობს ბინის აგებას, მხოლოდ დავა არის ქვაციხიდან პუნქტების მეორე სოფელში გადატანის თაობაზე. თემში არის სამი სასწავლებელი, რომლის დაკმაყოფილება განათება-გათბობით გამგეობამ, სამწუხაროდ, ვერ შესძლო. მიზეზი ამისა იყო თემში არსებული საგანმანათლებლო კომისიის მიერ გათბობისათვის საჭირო ფულის აკრების დაგვიანება. ღალა არის აკრებილი, მხოლოდ რამდენი, გამგეობამ არ იცის, გაიგებს და გამოწონის შემდეგ. აკრებილი ღალა კი ეხლა ინახება მილიციის უფროსთან.

მუხურის თემიდგან მოხსენებას აკეთებს ნ. გოგიჩაძე. დღიდან გამგეობის არჩევისა, ფინანსიურად გამგეობას არაფერი მოეპოვება დღემდინ და დღესაც არაფერი ფინანსიური ღონისძიება არ მოეპოება. ხალხი მოსურნე იყო საზოგადოების გაყოფის, გამგეობის კანცელარია მოთავსებულია მომხსენებლის ბინაზე, რის ქირათაც მას არაფერი არ მიუღია და არც უთხოვია. გამგეობას არ ჰყავდა კანცელარიის შტატი და ყველას მოვალეობას ის ასრულებდა. გამგეობას ჯერ-ჯერობით, საჩივრები სხვა და სხვა პირებთან არ მოსდის სამოქალაქო და სხვა ნიადაგზე. გზები, რამდენათ შესაძლებელი იყო, გამგეობამ შეაკეთა, მოახერხა ერთი ხის ხიდის გაკეთება, მეორეს და მესამეს გაკეთებაც შესაძლებლად მიაჩნია. სკოლის შენობის საკითხი ძალიან მწვავედ სდგას, მასწავლებელს უხდება 100-მდე მოწაფეებთან მეცადინეობა ძლიერ პატარა ოთახში. გამგეობამ დაადო ბაჟი თემის ფარგლებიდან გატანილ სანოვაგეს, რომელიც მან მიზან შეწონილად ვერ დაინახა და, შესაძლებელია, ეს უკანასკნელი, მალე შესწყდეს. სურსათის შეძენის მხრივ გამგეობამ ვერაფერი იღონა. განზრახვაა თემის ხმოსნებმა თვითონ, თავიანთ შორის, შეაგროვონ სათანადო სასურსათო თანხა, რითაც შეძენილი მიაწოდონ თემის მცხოვრებთ. ტყიბულის გზის შეკეთებას ხელი შეუშალა დიდმა თოვლმა. გადასახადების აკრებას ხელს უშლიდა ორი პიროვნება თავისი პროვოკაციული გამოსვლებით, რისთვისაც გამგეობამ ისინი დაატუსაღა თვითეული თითო დღით; ამ რიგად გადასახადების აკრების საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

მდგომარეობა ოსმალეთში.

სალიხ-ფაშის კაბინეტის გაგადგომა გამოწვეულია მოკავშირე სახელმწიფოების უკმაყოფილებით. ახალი კაბინეტის შემადგენლობაში, როგორც იტყობინებიან ოფიციალური პირები შევლენ უმეტესობა ლიბერალთა ჯგუფიდან.

ჩინეთი და საბჭოთა რუსეთი.

ჩინეთმა საბჭოთა რუსეთის მთავრობა იცნო. საბჭოთა მთავრობამ ჩინეთში თავის წარმომადგენელი გაგზავნა.

ასკვიტი მახლობელ აღმოსავლეთის შესახებ

ყოფილ ინგლისის პრემიერ მინისტრმა თემთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა, სადაც შეეხო ოსმალეთის საკითხს. ასკვიტი ძალიან აკრიტიკებს მოკავშირეთა პოლიტიკას და ოსმალეთის საკითხის გადაჭრის დაგვიანებას უსაყვედურებს ყველა სახელმწიფოებს. ასკვიტი შეეხო აგრეთვე სომხეთსაც და მოითხოვა სომხეთის საზღვრების გაწევა.

ამერიკა და ევროპა

ლონდონიდან იტყობინებიან რომ ამერიკა მოითხოვს, მოკავშირეთა სახელმწიფოებმა იცნონ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მხოლოდ რუსეთს დაუდონ ისეთი პირობები, რომელიც უნდა აასრულოს მან.

ოსმალეთი და ამერიკა.

ამერიკა კიდევ იმ აზრს ადგია, რომ ოსმალები უნდა განიდევნონ კონსტანტინოპოლიდან.

ინტელიგენტ-წარმომადგენელთა საერთაშორისო კონგრესი.

ზალცბურის ერთ-ერთ გაზეთის გადმოცემით ინტელიგენტ წარმომადგენელთა საერთაშორისო კონგრესი დანიშნულია ბერლინში კი არა, როგორც ამას გაზეთები გადმოგვცემენ, არამედ ზალცბურგში. კონგრესი გაიხსნება მაისში. კონგრესში მიწვეულნი არიან: მხატვრები, მწერლები მეცნიერნი და ყველა, მიუხედავად პოლიტიკურ რწმენისა და მიმართულებისა. კონგრესის იდეა დიდ გამოძახილს ჰპოულობს ყველა ქვეყნის სახელმწიფოების ინტელიგენტთა სფეროებში.

სხვა და სხვა

◆ 8 აპრილს საღამოთი ტფილისში დაა-პატიმრეს კომუნისტთა პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციის კრებაზე მყოფი 12 კაცი. ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ კრების მიზანი ყოფილა გეგმის შედგენა ტფილისში გამოსვლისა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

◆ აპრილის 8-ს ტფილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის დელეგაცია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე დასასწრებლად.

◆ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ბ-ნმა ფაჩულიამ, მტკიცე ზომების მიღების შემდეგ, აღმოაჩინა მომარაგების სამინისტროს კასის გამტეხველები. მათ შორის აღმოჩნდა ერთი გვარდიის აფიცერი ვინმე ცინცაძე. მუპარავთ არა $4^1/_2$—მილიონ ნახევარი, არამედ 7,290 მანეთი.

◆ ქალაქთა კავშირმა დაადგინა სესხათ მიეცეს ქალაქ რედუდ-კალეს 200,000 მან. ორი თვის ვადით.

◆ შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან: მთავარი კონტროლიორი ქალაქთა კავშირის მესხი, სჩედრინსკი და იურის-კონსულტი—მადისონი. ქალაქთა კავშირის ინსტრუქციების გამოსამუშავებლად, რომლითაც შესაძლო იქნება საქონლის მიღება და გაგზავნა.

◆ მოქალაქე სერებრიაკოვმა ქალაქთა კავშირში წინადადება შეიტანა, რომ ტფილისში გაიხსნას მავთულ-ლურსმის ქარხანა. ამ საქმის გამოსარკვევად ქალაქთა კავშირმა დააკისრა ტეხნიკურ განყოფილებას გამოიკვლიოს ეს საკითხი ტეხნიკურის მხრით.

◆ ქალაქთა კავშირმა დაადგინა ითხოვოს სესხი ცენტრო-ბანკიდან მილიონ ნახევარი ვადით რვა მაისამდის.

◆ მესხეთ-ჯავახეთის მმართველს განკარგულება გაუცია, რათა აბასთუმანის ავარაკთა პატრონები, თავიანთი სახლების შეკეთებას ეხლავე შეუდგნენ და სეზონის დაწყებამდე უთუოდ დაასრულონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის განკარგულებით მათ მამული ჩამოერთმევათ და ვაჭრობით სხვებს გადაეცემათ შესაკეთებლად. აგრეთვე ეზოები და გადამწვარ სახლების კარ-მიდამოები უთუოდ უნდა გასწმინდონ და კარგად შემოღობონ.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დიმიტრი ნიკოლოზისძე ვალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ლეხოურის სოფლის სამმართველოდან, სათადარიგო წიგნაკი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 614 3—2

დაიკარგა სამი სამეკვლო გეგმები სოფელ დუმაცხოს მდებარე მამულის კოსტანტინე და ეკატერინე წერეთლების სახელზე და გაყრილობის განაჩენი დავით, მიხეილ და სხვა წერეთლების შორის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 671 3—2

ბოგი აღა ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქალ. ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1914 წ. 30 ნოემბერს № 7528. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 616 3—2

დაიკარგა პასპორტი მიხეილ ზაქროს ძე შაიშმელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 672 3—2

ბესარიონ ქიტესას ძე მეტრეველი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გვარდიის წიგნაკი № 2648 ს. დ. პარტიის წევრობის მოწმობა 699 და ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20216. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 609 3—2

ივანე ალექსანდრეს ძე ბედიანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 146. მოწმობა პალატნიკოვის საბუღჰალტრო კურსების დამთავრების № 34 და ტფ. მიხეილის სახელობის ქალაქის სახელოსნო სკოლის დამთავრების ატესტატი № 448. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 610 3—2

ეკატერინე დიმიტრის ასული დიმიტრიადი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილ. ქალაქის მილიციის სამართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 644 3—3

მიტრადორა ჯავრიშვილისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვანო დედაბრიშვილის ბინის დავთარი, რომელიც მდებარეობს ყიფიანის უჩაზე № 10. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 535 3—2

პელაგია ალექსანდრეს ასული ტაგუტინისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. მეII კომისარიატიდან 1919 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 533 3—2

არტემ ისაკას ძე მარქაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 608 3—3

დაიკარგა სარდიონ დოლაბერიძის, დელეენის შესახვევში № 8, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 651 3—2

ვართან შობოზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა, მიღებული ქალ. თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 663 3—3

პლატონ სპირიდონის ძე კვანტალიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ნაგვაზეოს (სენაკის მაზრა) თემისაგან 1920 წელს და სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნების ნუსხა № 1 მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 532 3—1

ვასილ ზოსიმეს ძე ტოხვაძე აცხადებს, რომ დაჰკარგა მისი და ნესტორ ვაშაკიძის სახლის დავთარი, რომელიც მდებარეობს კრწანისის ბაღებში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3 607

დაკარგულია პასპორტი, გაცემული მუხლის საზოგადოების კომისრისაგან (რაჭ. მაზრა) 1918 წ. ვასილი გიგოლის ძე ისაკაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 657 3—2

დაკარგულია რუსეთ-სპარსეთის ნავთის ამხანაგობის „რუპენტოს“ შემდეგი პაიები მოცემული ა. ო. ავეტისოვის სახელზე: №1573, 1574, 1575, 1576, 1577, 1578, 1579, 1580, 1581, 1582, 1583, 1584, 1585, 1586, 1587, 1588, 1589, 1590, 1591, 1592, 1593, 1594, 1595, და 1596, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 674 3 2

დაკარგულია პირადობის მოწმობა № 1512 გაცემული ტფ. მილიციის უფრ. სამ. ალექ. ივანეს ძე ბერიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 660 3—3

სტუდ. ა. ვასილის ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პოლიტეხნიკუმიდან მოცემული მოწმობა № 82, შესასვლელი ბილეთი და ორი წიგნის კვიტანცია. გაუქმებულათ ჩაითვლება. 640 3—3

ნიკოლოზ იოსების ძე გერმანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული წირქვალის თემიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვლება. 646 3—3

ლეონტი სვიმონის ძე სვანაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკუთარი სახლის, რომელიც მდებარეობს კადეტის შესახვევი № 14, საბინაო დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 649 3—3

იონა ვასილის ძე ლაზუტკინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწაფეობის, მოწმობა მიღებული ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 659 3—3

დაკარგულია სასურსათო წიგნაკები № № 27785, 5972, 20460, 26180, 27784 და 11384 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 669 3—3

ვლადიმერ სტეფანეს ძე სელეცკი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ჩერემისის (კამ.-პოდ. გუბ) ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 641 3—3

დაიკარგა 6 სულის სასურსათო წიგნაკი № 21050 არტემ ოქუაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 630 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 37, ნიკოლოზ ეგოროვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 633 3—3

პავლე გრიგორის ძე ულარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ცხინვალის ერობიდან 1920 წ., სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული საავტომობილო გუნდიდან. და შოფერობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 638 3—3

მიხეილ ალექსანდრეს ძე მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბაქოს ბოქაულისაგან 1919წ. № 2749. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 637 3—3

20 მარტს 1920 წ. მე-733 ნომრით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნება დართო ამხ. „სათემო“-ს, მის მიერ წარმოდგენილ სავაჭრო ნიშნით განსაკუთრებულ საგებლობისა ათი წლის ვადით. 664 1—1

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 11)

დაიწყებს მოქმედებას მიმდინარე წლის 19 აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს. ბანკის გამგეობა ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ გამოცემული აქციების ნომინალური ღირებულების დანარჩენი 70 პროცენტი მათ მიერ შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისამდე. აქციონერებს, რომელნიც აღნიშნულ ვადამდე არ შემოიტანენ აქციის სრულ ღირებულებას, გამგეობა მოექცევა ბანკის წესდების მერვე მუხლის თანახმად.

412 3—3 **საქ. კოოპერატიული ბანკის გამგეობა**

ტფილისის საპყრობილეთა ინსპექცია

იწვევს საჯარო ვაჭრობაზე იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვთ მოაწოდონ ტფილისის საპყრობილეთა პატიმრების გამოსაკვებად ხორცი და ქონი საქონლის და ღორის, აგრეთვე პურის ფქვილი, სიმინდი ან სიმინდის ფქვილი, ან და გამომცხვარი პური, კარტოფილი, წითელი ფხალი, სამარხო ზეთი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, ტყემლის ტყლაპი, ბრინჯი, ხახვი, მწვანილი და შეშა. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ამა წ. 14 აპრილს დღის 12 საათზე, (სასამართლოს ქუჩა № 32) 410 3—2

მომარაგების სამინისტროს მიერ
გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის №№	სერია	ფურცელი	გვარი და სახელი	საქონელი
2 მარტ.	1528	7	318	აზერბ. რესპ. შემსყ. კომისარს.	დახერხილი ხე-ტყის მასალა.
„	1529	„	319	„ „ „ „	„ „ „
„	1530	„	320	„ „ „ „	„ „ „
„	1531	7	342	ტორიანტი ბარდუგი.	ხალიჩები.
„	1532	26	1287	ნეიტ. ზონ. ბერძენთა წარმ. ფეოფანოვი.	სარეცხის საპონი და მომპასიე.
„	1534	27	1321	„სლონი“ს თამბ. ფაბრიკა.	დამუშავ. თამბაქო.
„	1535	„	1322	„ „ „	„ „
„	1536	„	323	„ „ „	
„	1537	„	1324	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1538	„	1325	„ „ „	„ „ „
„	1539	„	1329	შაპტიშვილი ბენიამინ.	საფლავის ქვები.
„	1540	„	1330	თოფურიძე ანდრია.	მგლის ტყავი.
„	1541	„	1331	„	პაპიროსები.
„	1542	„	1332	„	„
„	1543	7	344	არუთინიანცი სამ. სტეფ.	ლუსმანი, ზეთი, პაპიროსები სალებავი ზეთი, შაქარი, ჩაი ელექტრონის ლამპოჩკები.
„	1545	14	673	თფილისის ქალ. გამგეობა.	შუშის ბალონები.
„	1549	26	1275	ენფიანჯიანც თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1550	„	1276	„ „ „	„
„	1552	27	1333	„ „ „	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1553	„	1334	„ „ „	„
„	1554	„	1335	„ „ „	„ „ „ „
„	1555	„	1336	„ „ „	„ „ „ „
„	1556	8	353	ს./ს. „შაბრიენ-მორენ“.	ხალიჩები.
„	1557	28	1353	ჩინიჯიშვილი პეტრე.	პადოშვი.
3 მარტ.	1558	26	1208	მომ. სამ. რწმუნ. ხითაროვი მოსეს.	ღვინო კასრებით.
„	1559	27	1303	„ძმ. ქავთარაძეების“ თამბ. ქარხანა.	დამუშავებული თამბაქო.
„	1560	„	1304	„ „ „	„
„	1564	„	1338	ალიბალა სალამოვი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1565	7	328	კარეტტი ედუარდი.	ხალიჩები.
„	1566	28	1358	პალატოვი მუსტაფა.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1567	„	1359	რაჯაბოვი ჯუჯუ.	„ „ „ „
„	1570	7	345	საქ. სახ. რკ. გზ. სასურს. კომიტეტს.	ცარიელი ბოთლები.
„	1571	„	343	საქ. სახ. რკ. გზ. სასურს. კომიტეტს.	ცარიელი ბოთლები და საპონი.
„	1572	8	355	სახომ. საზ. „სიცილიას წარმომ. ფერდინანდ პროვიდენდს“.	ხალიჩები.
4 მარტ.	1573	27	1328	ამირეჯიბი ქაიხოსრო.	საბარგო შინები.
„	1576	28	1373	საქ. სახ. რკ. გზ. სასურ. კომიტეტი.	მელანი და საპონი.
„	1577	8	366	ამერ. მახლ. აღმ. დამხმ. კომიტ. წარმომად.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1578	28	1376	საქ. სახ. რკ. გზ. სასურ. კომიტეტი.	კომბოსტო და ჭარხალი.
„	1579	„	1374	„ „ „ „ „ „	„ „ „
„	1580	„	1375	„ „ „ „ „ „	„ „ „
„	1582	6	360	ამიერკ. რუს. ეროვ. საბჭ. წარმ.	შეშა.
„	1583	„	358	„ „ „ „ „	თივა.
„	1584	„	357	„ „ „ „ „	„
„	1585	„	356	„ „ „ „ „	„
„	1586	„	359	„ „ „ „ „	„
„	1587	8	354	ამიერკ. რუს. ეროვნ. საბჭ. წარმ.	კარაქი და ყველი.
„	1588	28	1361	აზერ. რესპ. შემსყ. კომისიას.	დახერხილი ხე-ტყის მასალა.
„	1589	„	1366	„ენფენჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1590	„	1367	„ „ „	„
„	1591	„	1365	„ „ „	„
„	1592	27	1345	„კომეტა“ს თამბ. ფაბრიკ.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1593	„	1346	„ „ „	„ „ „ „
„	1597	28	1391	აბრამოვი ნიკოლოზ.	პაპიროსები.
„	1598	„	1390	„ „	ხურმა.
„	1599	„	1389	„ „	
„	1600	„	1388	„ „	დამუშ. თამბაქო.
„	1601	„	1387	„ „	„ „
„	1602	„	1386	„ „	„ „
„	1603	„	1385	„ „	„ „
„	1604	„	1384	„ „	„ „
„	1605	„	1383	„ „	„ „
„	1606	„	1380	„ „	„ „
„	1607	„	1379	„ „	„ „
„	1608	„	1378	„ „	„ „
„	1609	„	1377	„ „	„ „
„	1615	„	1397	ავეტისიან მიკაელ.	საფოტოგრაფო მასალები.
„	1616	27	1341	„ბოზარჯიანცი“ს თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
5 მარტ.	1620	8	372	სოფ. ზდუნწამის. წარმ. შუქურ ეფენდი მიქელაძე..	სიმინდი.
„	1622	28	1394	„ენფიანჯიანცის“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1623	„	1395	„ „ „	„
„	1624	„	1396	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1625	„	1399	ტფილ. ქალ. გამგეობას.	შუშის ბალონები.
„	1626	8	373	სამზღვარ-გარეთ მიმ. სტ. კ. კეშელავას.	ხალიჩები.
„	1628	„	374	გზ. „სამუს. საქარ.“ წარ. ხვინგიას.	სატიპოგრაფიო ნივთები.
„	1629	29	1401	ცქიტიშვილი იაკინთე.	წისქვილის ქვები.
„	1630	„	1402	„ „	საშენებელი ქვები.
„	1631	„	1403	შენგელია ელისო.	თხილი ტომრებით.
„	1632	28	1362	„ენფიანფიან.“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამ. თამბ.
„	1633	„	1363	„ „ „	დამუშ. თამბაქო.
„	1634	„	1364	„ „ „	პაპიროსები.
„	1636	„	1368	„საფაროვის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1637	„	1369	„ „ „	„ „ „ „
„	1638	„	1370	„ „ „	დამუშავ. თამბაქო.
„	1639	„	1371	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1640	„	1372	„ „ „	„ „ „ „
„	1641	„	1392	ზურაბიანცი	პაპიროსები.
6 მარტ.	1643	8	380	საქ. რესპ. ქალაქთა კავშირს.	სოლები (კლიოპკები).
„	1644	„	379	„ „ „	„ „
„	1645	„	381	„ „ „	„ „
„	1646	29	1404	აბასოვი მიხეილი.	პაპიროსები.
„	1647	„	1405	„ „	„
„	1648	„	1406	„ „	„
„	1649	8	382	იტალო-კავკ. ბანკ. ტფილ. განყ.	ფოთლოვანი თამბაქო.
„	1650	27	1337	მაზნიაშვილი გიორგი.	საბარგო შინები.
„	1651	26	1271	აბდულ გამიდ ისმაილოვი.	მომპასიე.

სახელმწიფო სტამბა

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი**